ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №61
2015 წლის 21 დეკემბერი

ქ.ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მხულის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის პირველი იანვრიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **იმრან მ. გასიმოვი**
მოადგილე

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

1.საკრებულოს თანამდებობის პირები

ა) საკრებულოს თავმჯდომარე – 2650 ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 2200 ლარი;

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – 2050 ლარი;

დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 2050 ლარი.

2. წამყვანი საჯარო თანამდებობა

ა) აპარატის უფროსი – 1900 ლარი.

3. უფროსი საჯარო თანამდებობა

ა)თანაშემწე – 1185 ლარი;

ბ)მთავარი სპეციალისტი – 840 ლარი.

4. უმცროსი საჯარო თანამდებობა

ა) წამყვანი სპეციალისტი – 780 ლარი;

ბ) უფროსი სპეციალისტი – 705 ლარი;

გ) სპეციალისტი – 600 ლარი;

დ) დამხმარე მოსამსახურე – 780 ლარი.